

შპსთი ჯი ელ სპორტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს თი ჯი ელ სპორტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2018
შემოსავალი	2	8 430 400
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4 346 597)
საერთო მოგება		4 083 803
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3	(1 997 008)
სხვა შემოსავალი		
საოპერაციო მოგება		2 086 795
არასაოპერაციო შემოსავალი	4	248 768
არასაოპერაციო ხარჯი		(332 233)
პერიოდის მოგება		2 003 330
სხვა სრული შემოსავალი		
სრული შემოსავალი		2 003 330

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი



თათია მდივნიშვილი

გარულ ჭიპაშვილი

შპს თი ჯი ელ სპორტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	196 930	199 683
გრძელვადიანი ინვესტიციები	6	2 529 920	2 529 920
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 726 850	2 729 603
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	6 945 483	3 801 512
მისაღები დივიდენდები	8	(6 424)	23 323
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	245 923	155 561
გადახდელი ავანსები	10	300 159	389 312
ფული და ფულის ექვივალენტები	11	1 688 680	1 723 443
სულ მიმდინარე აქტივები		9 173 821	6 093 151
სულ აქტივები		11 900 671	8 822 754
საკუთარი აქტივი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	12	3 798 013	1 794 684
საწესდებო კაპიტალი		127 250	127 250
სულ საკუთარი კაპიტალი		3 925 263	1 921 934
გრძელვადიანი ვალდებულებები			
დამფუძნებლის მიმართ დავალიანება	13	3 694 874	1 557 090
გრძელვადიანი სესხი	14	-	650 118
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3 694 874	2 207 208
მიმდინარე ვალდებულებები			
დავალიანება ბიუჯეტის მიმართ	15	(229 348)	137 892
დავალიანება თანამშრომლის მიმართ		3 081	1 050
გადასახდელი დივიდენდები		4 478 900	4 478 900
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		27 901	75 770
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4 280 534	4 693 612
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11 900 971	8 822 754

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თი ჯი ელ სპორტი (შემდგომში-„კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 205073043 დაფუძნდა 2005 წელს, იურიდიულ მისამართზე -საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N8. კომპანიის დირექტორია ვარულ ჭიპაშვილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპორტული ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით ვაჭრობა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორთა წილები:

მესაკუთრე	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თემურ ლეკვეიშვილი	50%
გრიგოლ ლეკვეიშვილი	50%

კომპანიის მიერ 2007 წლის 24 დეკემბერს მოხდა შპს „ანის“ (ს/კ 211233610) 100%-იანი წილის შესყიდვა. 2016 წლიდან შპს „ანის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ვაჟა-ფშაველას გამზირზე საკუთრებაში არსებულ მიწაზე საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა შემდგომი გაყიდვის პირობით. შპს „ანის“ დირექტორია ასევე ვარულ ჭიპაშვილი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული ანგარიშგება პირველად მომზადდა „მსს ფასს“ სტანდარტების შესაბამისად.

მსს ფასს-ის მე-9 განყოფილების 9.2 პუნქტის მიხედვით, „მშობელმა საწარმომ უნდა წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც კონსოლიდირებული იქნება შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს მშობელი საწარმოს ყველა შვილობილ საწარმოს.

9.4 პუნქტის მიხედვით „შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს მშობელი საწარმო. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.“

9.13 პუნქტის მიხედვით „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას საწარმოთა ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საწარმომ უნდა:

ა) გააერთიანოს მშობელი და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;

ბ) უგულებელყოს თითოეულ შვილობილ საწარმოში მშობელი საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მშობელ საწარმოს ეკუთვნის.“

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ამ ორი კომპანიის, როგორც ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ის ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით.

მსს ფასს -ის პირველადი გამოყენება

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი საგადასახადო აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს გარკვეულ სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ამასთან ერთად კომპანიამ გამოიყენა სარეკომენდაციო მითითება, რომელიც უდარსებო აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით განსაზღვრული მესამე კატეგორიის ტიპის საწარმოთათვის შედავას ითვალისწინებს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, კომპანიამ საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების სტანდარტზე გადასვლის თარიღი, თუმცა ზემოაღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს მცირე ფასს-ით მომზადებულ სრულ პაკეტს.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური დაწარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური მოგებისა ან ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ მოგება ან ზარალის სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2018 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 1 იანვარს	2.5922	3.1044
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახდით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახდო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახდო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახდო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

კომპანია იყენებს ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის. ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწევა. კომპანიას საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სავაჭრო ცენტრებთან მაღაზიების ფართებზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის ფართის გამოსყიდვის უფლება. შესაბამისად, კომპანიის მიერ გადახდილი იჯარის თანხა გამოიქვითება პერიოდის მოგება/ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის,

გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის ნაშთის მეთოდით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა დაგამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა). პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, და სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიას მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების კომპანიას) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტურისაპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

2. შემოსავლები

შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
შემოსავალი სპორტული ტანსაცმლის და ფეხსაცმლის რეალიზაციიდან	8 430 400
სულ	8 430 400

3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
ხელფასის ხარჯი	946 805
ცვეთა და ამორტიზაცია	36 543
იჯარის ხარჯი	814 696
მივლინების ხარჯი	14 731
რეკლამის ხარჯი	3 973
საბანკო ხარჯი	96 556
კომუნალური ხარჯი	17 119
საკანცელარიო ხარჯი	2 112
საკონსულტაციო მომსახურება (საგად. აუდიტი)	6 102
საბაჟოზე გაწეული ხარჯი	6 315
დარიცხული გადასახადები	14 046
სხვა ხარჯი	38 009
სულ	1 997 008

4. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

ჯგუფის მიერ 2018 წლის საანგარიშო პერიოდში მიღებული არასაოპერაციო ზარალი შედგება შემდეგი მუხლებისგან:

	31.12.2018
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	187
საპროცენტო სარგებელი	14 090
მისაღები დივიდენდი	228 154
საკურსო სხვაობიდან მიღებული სალდირებული ზარალი	(15 019)
იჯარით აღებული ფართის ჩამოწერა	(49 858)
საპროცენტო ხარჯი	(253 610)
უიმედო ვალის ჩამოწერით მიღებული ზარალი	(3 815)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	(680)
მოგების გადასახადის ხარჯი	(2 914)
სულ არასაოპერაციო ზარალი	(83 465)

არასაოპერაციო შემოსავლებში ჯგუფს უფიქსირდება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, მოთხოვნამდე დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი და შპს „ოცნებიდან“ მისაღები დივიდენდი.

არასაოპერაციო ხარჯებში კომპანიას ასახული აქვსძირითადი საშუალებებიდან იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობის კაპიტალიზებული თვითღირებულების ჩამოწერით მიღებული ხარჯი, რომელიც ჩამოწერილი იქნა მსს ფას-ზე გადასვლის თარიღისთვის 01.01.2018წ-ისათვის. ასევე 2018 წელს ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება და ზარალი. საპროცენტო ხარჯში კომპანიას ასახული აქვს დამფუძნებლისგან მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მსუბუქი ავტომობილები	ავეჯი და ინვენტარი	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	სულ
01.01.2018	87 466	108 910	91 813	89 593	377 782
შემოსვლა		2 596	89 616	8 321	100 533
გასვლა			(6 183)	(65 579)	(71 762)
31.12.2018	87 466	111 506	175 246	32 335	406 553
დაგროვილი ცვეთა					
01.01.2018	(19 786)	(68 443)	(57 534)	(32 335)	(178 098)
გასვლა			5 019		5 019
პერიოდის ცვეთა	(3 384)	(8 613)	(24 546)		(36 543)
	(23 170)	(77 056)	(77 061)	-	(209 622)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება					
31.12.2018	64 296	34 450	98 185	-	196 930

კომპანიის საკუთრებაში არსებულ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით. კომპანიას ძირითად საშუალებებში ასახული ჰქონდა იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობაზე გაწეული ხარჯი. მსს ფასის მიხედვით აღნიშნული ხარჯი მიეკუთვნება პერიოდის ხარჯებს და ექვემდებარება გამოქვითვას იმავე საანგარიშო პერიოდში. კომპანიამ მსს ფასზე გადასვლის ოპერაცია განახორციელა 01.01.2018-ის თარიღით, ამიტომ აღნიშნული ძირითადი საშუალება ასახულია 2018 წლის საწყის ნაშთში და წლის ბოლოს ასახულია პერიოდის ხარჯში.

6. გრძელვადიანი ინვესტიციები

გრძელვადიანი ინვესტიციები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	31.12.2018
გრძელვადიანი ინვესტიციები		
ინვესტიცია მეკვაშირე საწარმოში შპს „ოცნება“	825 425	825 425
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში შპს „ანი“	1 704 495	1 704 495
სულ ფინანსური აქტივები	2 529 920	2 529 920

კომპანია 33,34%-იანი წილით მონაწილეობს შპს „ოცნების“ (ს/კ 203835591) საწესდებო კაპიტალში. კომპანიას აღნიშნული წილი შეძენილი აქვს 825 425 ლარად, რაც წარმოადგენს გრძელვადიან ინვესტიციას.

კომპანიასავე ფლობს 100%-იან წილს შპს „ანის“ (ს/კ 2111233610) საწესდებო კაპიტალში. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფს ასახული აქვს მხოლოდ შპს „ანის“ წილის შესყიდვის დროს გადახდილი ნომინალური ღირებულება.

7. მარაგები

	01.01.2018	31.12.2018
საქონელი სავაჭრო ნიშნით „ადიდასი“ და „რიბოკი“	2 480 789	3 129 388
საწვავი	-	730
პარკები	4 425	6 137
მშენებარე კორპუსის თვითღირებულება	1 316 298	3 534 553
სამშენებლო მასალები	-	274 676
სულ მარაგები	3 801 512	6 945 483

ჯგუფის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება სპორტული ტანსაცმლის და ფეხსაცმლის მარაგისაგან და ასევე პარკებისაგან, რომლებიც ძირითადი საქონლის რეალიზაციის დროს დამხმარე საქონლის ფუნქციას ასრულებს და გამოიყენება საქონლის შესაფუთად.

ასევე ჯგუფის მარაგებში ასახულია 2 პოზიცია, რომლებიც ეკუთვნის შპს „ანის“. 1 პოზიციაზე ასახულია გასაყიდად გამიზნული კორპუსის დაუმთავრებელი მშენებლობის თვითღირებულება, ხოლო მეორე პოზიციაზე - ამ კორპუსისთვის შეძენილი და ჯერ დასაწყობებული სამშენებლო საქონელი, რომელიც ჯერ გამოყენებული არ იყო უშუალოდ მშენებლობის პროცესში 31.12.2018 მდგომარეობით.

ჯგუფის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია თვითღირებულებით.

8. მისაღები დივიდენდი

კომპანიას უფიქსირდება მისაღები დივიდენდის ნაშთები 2018 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	01.01.2018	31.12.2018
შპს „ოცნება“	23 323	(6 424)
სულ მისაღები დივიდენდი	23 323	(6 424)

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები საიჯარო მომსახურებაზე	114 462	158 765
ბანკის მიერ ჩასარიცხი ტერმინალის დავალიანება	41 099	87 158
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	155 561	245 923

კომპანიას მოთხოვნების სახით უფიქსირდება გაწეულ საიჯარო მომსახურებაზე კომპანიების დავალიანებაზე არსებული მოთხოვნები. ასევე მოთხოვნების სახით არის აღრიცხული პერიოდის ბოლოს საბანკო ტერმინალებზე გატარებული და ჯერ ბანკისგან ჩაურიცხავი თანხები, რომლებიც საბანკო ანგარიშზე ასახვას ჰპოვებს ტერმინალზე ბარათის გატარებიდან 1-2 დღის შემდგომ.

ასევე ჯგუფს 01.01.2018 მდგომარეობით შპს „ანის“ ბალანსზე უფიქსირდებოდა მოთხოვნა 3 815 ლარის ოდენობით, რომლის ხანდაზმულობის ვადა გასულია და ჩაითვალა უიმედო ვალად. ვინაიდან ცნობა სასამართლოდან გაკოტრების შესახებ არ არსებობს, ჩამოწერის მომენტში მოთხოვნის ნაშთი დაიბეგრა მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციაში და შემდგომ ჩამოწერილი იქნა ხარჯებში.

10. გადახდილი ავანსები

კომპანიას რამდენიმე მომწოდებელთან პერიოდულად უფიქსირდება ავანსების გადახდა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ საოპერაციო ხარჯების ავანსებს, რომლებზეც შემდგომ პერიოდებში ხდება საქონლის/მომსახურების მიღება. გადახდილი ავანსების ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით შეადგენს 389 312 ლარს, ხოლო 31.12.2018 მდგომარეობით - 300 159 ლარს.

მათ შორის 01.01.2018 და 31.12.2018 მდგომარეობით უფიქსირდება საქონლის მომწოდებელ რუმინულ კომპანიასთან გადარიცხული ავანსი, რომლის გადაფასება არ ხდება მის ფასის 30-ე განყოფილების თანახმად არაფულადი მუხლების ოპერაციის დღეს არსებული ღირებულებით აღიარების მოთხოვნის შესაბამისად.

11. ფული და ფული ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში	118 440	143 283
ლარი საბანკო ანგარიშებზე	809 842	607 050

უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	795 161	938 348
სულ	1 723 443	1 688 680

12. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი კომპანიაში 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	31.12.2018
გაუნაწილებელი მოგება	1 794 684	3 798 013
საწესდებო კაპიტალი	127 250	127 250
სულ გაუნაწილებელი მოგება	1 921 934	3 925 263

მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით 2017 წლიდან მიღებული გაუნაწილებელი მოგება კომპანიის მიერ აღირიცხება განცალკევებულ ანგარიშზე. 2017 წლიდან მიღებული გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით შეადგენს 1 794 684 ლარს, ხოლო 31.12.2018 მდგომარეობით - 3 798 013 ლარს.

13. დამფუძნებლის მიმართ არსებული დავალიანება

დამფუძნებლის მიმართ არსებული დავალიანება 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	31.12.2018
დამფუძნებლისგან სესხი	1 355 494	3 279 157
სესხზე დარიცხული პროცენტი	201 596	415 717
სულ	1 557 090	3 694 874

ჯგუფს დავალიანებებში ასახული აქვს დამფუძნებლის მიერ შემოტანილი სესხი, რომლის გასტუმრება ხდება საქმიანობის პროცესში მიღებული შემოსავლიდან. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის დავალიანება მხოლოდ ნაწილობრივ არის გასტუმრებული. შემოტანილ სესხზე ხდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა საბაზრო განაკვეთით, რომლის გასტუმრება ხდება ასევე პერიოდულად.

14. ბანკიდან მიღებული სესხი

კომპანიას 2018 წლის დასაწყისში ჰქონდა სს პროგრედიტ ბანკიდან აღებული სესხის დარჩენილი დავალიანება 650 118 ლარი, რომელიც გასტუმრებული იქნა 2018 წლის საანგარიშო პერიოდში.

15. მოკლევადიანი ვალდებულებები

ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	31.12.2018
საგადასახადო ვალდებულებები	137 892	(229 348)
სავაჭრო ვალდებულებები	75 770	27 901
გადასახდელი დივიდენდები	4 478 900	4 478 900
დავალიანება თანამშრომლის მიმართ	1 050	3 081
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4 693 612	4 280 534

სავაჭრო ვალდებულებები წარმოქმნილია ჯგუფის ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობისათვის შეძენილი საქონლის და მომსახურებებიდან.

ჯგუფს სახელფასო ვალდებულებები პერიოდის საწყისი და საბოლოო თარიღებისთვის არ უფიქსირდება. ჯგუფს (კერძოდ შპს „ანის“) აღებული აქვს დირექტორისგან მიმდინარე ხარჯების დასაფარად დავალიანება, რომლის გასტუმრება მოხდება საქმიანობიდან შემოსული თანხით.

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. 2017 წლამდე მიღებული მოგებიდან გასაცემი დივიდენდის ნაშთი 01.01.2018 და 31.12.2018 მდგომარეობით შეადგენდა 4 478 900 ლარს.

16. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

	01.01.2018	31.12.2018
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	155 561	245 923
ფული და ფულის ეკვივალენტები	1 723 443	1 688 680
სულ ფინანსური აქტივები	1 879 004	1 934 603
		31.12.2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	75 770	27 901
დამფუძნებლის შენატანი	1 557 090	3 694 874
სულ ფინანსური ვალდებულებები	1 632 860	3 722 775

17.პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, ჯარიმები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

29,09,2019



თათია მდივნიშვილი

ვარულ ჭიპაშვილი